

შპს “მასა”

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მასა დარეგისტრირებულია მისამართზე: ქუთაისი, ტყეშელაშვილის ქ. VI ჩიხი №8 2014 წლის 30 დეკემბერს

შპს “მასა”-ს მფლობელები არიან:

1. დიმიტრი ქარქაშაძე 50 % წილის მფლობელი
2. დავითი ქარქაშაძე 50 % წილის მფლობელი

საწარმოში 2021 წლის მდგომარეობით დასაქმებული იყო 18 თანამშრომელი

ჩვენი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით, აქსესუარებით და მანქანის ზეთებით სავაჭრო ობიექტზე მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი გუგუნავას №1-ში, რომელიც არის იჯარით აღებული.

1.2 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ჩვენი საწარმოს ფულადი ანგარიშები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 541 107 ლარს აქედან საბანკო ანგარიშებზეა 6 200 ლარი და საღაროში 534 907 ლარი.

1.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე უცხოური ვალუტის ნაშთი არ ფიქსირდება.

1.4 სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი აგანსები

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 31 091 ლარს რომლის გადახდაც ხდება 30-90 დღის განმავლობაში.

ამ პერიოდის მდგომარეობით გადახდილი აგანსები შეადგენს 0 ლარს.

1.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს,

რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან.

2021 წლის ბოლოს მარაგები შეადგენს 699 962 ლარს.

1.6 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით და მათი ჯამური ღირებულება შეადგენს 7 278 ლარს.

1.7 ვალდებულებები

შპს "მასა"-ს ვალდებულებების ჯამი შეადგენს 311 486 ლარს აქედან სავაჭრო ვალდებულებები არის 98 918 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 30-90 დღის განმავლობაში (მოკლევადიანი ვალდებულებათა). გასაცემი ხელფასი 24 146 ლარი, რომლის დაფარვაც მოხდება 10-12 დღის განმავლობაში.

1.8 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან 2021 წელს შეადგენს 4 213 990 ლარს

2021 წლის ბოლოსათვის შპს "მასა"-ს გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 966 831 ლარი.

შპს "მასა"-ს დირექტორი

ბუღალტერი

MASA
შპს "მასა"
შემოსავალი
გაყიდვის №1
04648

დimitრი ქარქაშაძე

ზვიადი დალაღიშვილი

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	541 107	522 640
სავაჭრო მოთხოვნები	31 091	35 976
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისარები შემოსავალი	0	60
მარაგები	699 962	621 409
- მზა პროდუქცია	699 962	621 409
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7 277	9 097
შენობა-ნაგებობა		
მწის ღირებულება		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	1 279 437	1 189 182
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	98 918	281 140
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	25 240	
საგადასახადო ვალდებულებები	187 328	136 710
გამოუმუშავებელი შემოსავალი		

მიმდინარე სასესიო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასასხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	1 120	1 121
სულ ვალდებულებები	312 606	418 971
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი		
საემისიო სემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	966 831	770 211
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	966 831	770 211
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 279 437	1 189 182

შპს „მასა“- დირექტორი

ბუღალტერი

MASA
შპს „მასა“
ქუთაისი
გუგუშაძის ქ. №1
ს/ს 412704649

დimitრი ქარქაშაძე

ზვიადი დალალიშვილი

მოგება - ზარალისა და სხვა


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
ნეტო ამონაგები	31.12.2021	31.12.2020
საქონლის გაყიდვიდან	4 213 990	3 425 409
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	- 2 627 106	- 2 184 866
საწყისი მარაგები	621 409	453 541
მარაგების შესყიდვა	2 705 659	2 352 735
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	699 962	621 409
საერთო მოგება	1 586 884	1 240 543
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 354 849	- 260 286
ცვეთა და ამორტიზაცია	- 1 820	- 2 218
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი	- 29 866	- 26 755
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 62 901	- 45 154
სულ საოპერაციო ხარჯები	- 449 436	- 334 413
საოპერაციო მოგება	1 137 448	906 130
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		

სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდი		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 137 448	906 130
მოგების გადასახადი	- 170 617	- 135 920
მოგება / (ზარალი)	966 831	770 210
სხვა სრული შემოსავალი / ზარალი		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	966 831	770 210
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	770 210	645 881
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	- 770 210	- 645 881
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	966 831	770 210

შპს „მასა“- დირექტორი

ბუღალტერი



დimitრი ქარქაშაძე

ზვიადი დალალიშვილი